



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ეზიკაშვილი ოთარ სიმონის ძე

ეზიკაშვილი ოთარ სიმონის ძე [18 (31). XII. 1915, ქუთაისი, - 26. IX. 1994, თბილისი], ინჟინერ-მექანიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1954), პროფესორი (1955), საქართვე. მეცნიერებისა და ტექნიკის დამს. მოღვაწე (1967). დაამთავრა საქართვე. ინდუსტრიული ინ-ტის ენერგომექანიკის ფაკ-ტი (1939). 1939-42 მუშაობდა ქუთაისის ლითოფონის ქ-ნის მთავარი ინჟინერ-მექანიკოსის მოადგილედ, 1942-46 - თბილისის ელექტრომექანიკური ქ-ნის დირექტორად, 1946-იდან - საქართვე. პოლიტექნიკურ ინ-ტში, სადაც 1954-იდან იყო მანქანათა ნაწილებისა და ამწევ-სატრანსპ. მანქანების კათედრის გამგე; 1990-იდან გარდაცვალებამდე - ამავე კათედრის პროფესორი. ე-ის სამეცნ. შრომები ეხება მანქანათა გაანგარიშებადაპროექტების მეთოდების სრულყოფას. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

თხზ.: მანქანათა ნაწილები (სახელმძღვანელო), ნაწ. 1-2, თბ., 1975-77.
